

შპს „ფარმექსიმის“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4134536	2494795	466312
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21497466	21604217	27942558
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	415456	415456	341185
მარაგები	1247605	0	0
სხვა	1247605	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	750	750	750
ძირითადი საშუალებები	2956	2956	3062
სულ აქტივები	27298769	24518174	28753867
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3868979	1477170	3420647
სხვა ვალდებულებები	6347	1052	4845
სულ ვალდებულებები	3875326	1478222	3425492
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი))	100	100	100
სულ საკუთარი კაპიტალი	23423343	23039852	25328275
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	27298769	24518174	28753867
სულ მოკლევადიანი აქტივები	27321766	24514468	28750055
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3875326	1478222	3425491

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს



ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „ფარმექსიმის“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	8297415	11414082
საქონლის გაყიდვიდან	8297415	11414082
გაყიდვების თვითღირებულება	-5631121	-7282755
საერთო მოგება	2666294	4131327
დასაქმებულთა ანაზღაურება	-628025	-476241
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-256297	-279080
სულ საოპერაციო ხარჯები	-884322	-755321
საოპერაციო მოგება	1781972	3376006
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო	-13138	-554624
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	65446	-2333061
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1834280	488321
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1834280	488321
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1834280	488321
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	23039952	25328375
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1450789	-2776744
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	23423443	23039952

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „ფარმექსიმის“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმრ	3020124	5359746
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ	-1450789	-2776745
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1569335	2583001
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	70406	-554518
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2494795	466312
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4134536	2494795

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

„ფარმექსიმი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 404505941.

კომპანია რეგისტრირებულია როგორც სპეციალური სავაჭრო კომპანია და მის საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ანანურის ქ., N 4.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია, მალტაში რეგისტრირებული საწარმო - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სონიქს ჰოლდინგ (ს.ნ. - C84915).

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.


საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.



ირინე გამცემლიძე
მთავარი ბუღალტერი